ლალი ხვედელიძე, პარმენ ხვედელიძე – 70 სახელოვანი იუბილე!

„არიან ადამიანები, ღვთის ნიჭით გამორჩეულნი, რომლებიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, იღწვიან და სხვებს გზას უნათებენ“ (საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II). ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება ქ. ბათუმში, ერთ-ერთ ლამაზ ოჯახში, 1950 წლის 22 ოქტომბერს დაბადებული ქალბატონი ლალი ხვედელიძე და მისი მეუღლე პარმენ ხვედელიძე, დაბადებული 1950 წლის 15 ივნისს.

ქალბატონი ლალი და ბატონი პარმენ ხვედელიძეები გამოირჩევიან საქმის პროფესიული ცოდნით, გარემოსთან ჰარმონიულად პოზიტიური ფიქრით, მათ აქვთ ადამიანებთან სულში წვდომის უნარი, რომლებიც სითბოსა და სიყვარულს უწილადებენ ყველას, განსაკუთრებით კი მათ სტუდენტებსა და მოსწავლეებს რომლებიც სწავლობენ 20 წლის წინ მათივე დაფუძნებულ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტსა და მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში, ასევე მათ დიდ კოლექტივს.

ქალბატონმა ლალი ხვედელიძემ, 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისურ-რუსული ფილოლოგიის სპეციალობით. მას შემდეგ კი მას გავლილი აქვს სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და არის მრავალი ტრენინგის მონაწილე. ის არის ქალთა საერთაშორისო სანაოსნო და სავაჭრო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი 2016 წლიდან. მიღებული აქვს ჯილდოები, როგორიცაა: სიგელი

განათლების დარგში მიღწეული წარმატებისათვის (2005); მედალი „წლის საუკეთესო მენეჯერი“ (2016) და სხვ.,

რაც შეეხება ბატონ პარმენ ხვედელიძეს, ის არის პროფესორი. 1981-1987 წწ სწავლობდა ნოვოროსიისკის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელში - სპეციალობით გემთწაყვანა საზღვაო გზებზე. 2000 წელს რუსეთის ტრანსპორტის აკადემიაში მიენიჭა ტრანსპორტის დოქტორის აკადემიური ხარისხი; 2006 წელს კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა - ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ბატონ პარმენს ასევე გააჩნია მდიდარი პრაქტიკული და სახელმწიფოებრივი საქმიანობის გამოცდილება: წლების განმავლობაში იყო შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ასევე მუშაობდა საქართველოს საზღვაო დეპარტამენტში ანალიტიკური განყოფილების და სადიპლომო საპასპორტო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, ხოლო 1997 წ. - დან 2002 წლამდე მდე იყო საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

პროფესორ პარმენ ხვედელიძის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: საზღვაო საქმის ზოგადი საფუძვლები, ნაოსნობის უსაფრთხოება და მათი ძირითადი პრობლემები. მისი კონსულტაციითა და უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია.

2001 წლიდან არის კაპიტანთა ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის ინდივიდუალური წევრი ლონდონი, ხოლო 2005 წლიდან “The Nautical Institute”-ის წევრი, ლამბერტ როუდი 202 ლონდონი. ბატონი პარმენ ხვედელიძე არჩეული საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

სწორედ მათ მიესადაგებათ ცნობილი ხატოვანი გამონათქვამი - „მზე რომ უდგათ სულში და მზესავით ანათებს შიგნიდან!“

შესანიშნავი ტრადიციული ქართული ოჯახი აქვთ ქალბატონ ლალის და ბატონ პარმენს, ჰყავთ ორი ქალიშვილი, და შვილიშვილები.

მთელი სულითა და გულით გილოცავთ, ქალბატონო ლალი და ბატონო პარმენ, სახელოვან საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, მტკიცე ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს ღრმა შინაარსიან შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ყველა სიკეთეს ვუსურვებთ თქვენს ოჯახს!

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“-ს
სარედაქციო კოლეგია